

(სსმ 30.06.2006 N 88 მუხ. 1176)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
300.180.000.22.024. 008.795

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის  
ბრძანება N 1-1/525  
2006 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი**

**“დაკანონებული გამოშვების საშუალებების გიპის დამტკიცების  
ეროვნული ნიშნის შემოღების და გამოშვების საშუალებაზე  
დაგანის წესის თაობაზე” ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების  
შესახებ**

“გამომვითა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტისა და “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის N 77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ი) ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი “დაკანონებული გამოშვების საშუალებების გიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის შემოღების და გამოშვების საშუალებაზე დაგანის წესი”-(დანართი N 1)
2. დამტკიცდეს „ დაკანონებული გამოშვების საშუალებების გიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის ფორმა” - ( დანართი N2).
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ი. ჩოგოვაძე*

დანართი N1

**ტექნიკური რეგლამენტი  
“დაკანონებული გამოშვების საშუალების გიპის დამტკიცების ეროვნული  
ნიშნის შემოღების და გამოშვების საშუალებაზე დაგანის წესი”**

**1. გამოყენების სფერო**

1. ეს წესი შემუშავებულია “გამომვითა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს დაკანონებული გამოშვების საშუალების გიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის (შემდგომში - გიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი) ფორმას და მისი დაგანისადმი მოთხოვნებს.

2 გიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი განკუთვნილია იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია გამოშვების საშუალებების დამტკიცებულ

ტიპთან შესაბამისობის შესახებ.

3. ამ წესის გამოყენება სავალდებულოა მეგროლოგიის სფეროში მონაწილე ყველა დაინტერესებული პირისათვის.

## **2. ზოგადი დებულებები**

1. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის გამოსახულება გამოიყენება “სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეგროლოგიის ეროვნული სააგენტოს” (შემდგომში-სააგენტო) მიერ ან აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ გამოშვების საშუალებებზე და (ან) მათ თანმხლებ საექსპლუატაციო დოკუმენტებზე აღნიშვნისათვის.

2. გამოშვების საშუალების ბაზარზე განთავსებამდე მწარმოებელი ან იმპორტიორი ვალდებულია უზრუნველყოს გამოშვების საშუალებაზე ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის დაგანა.

3. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი დაიგანება თითოეულ დაკანონებულ გამოშვების საშუალებაზე.

4. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი დაკანონებულ გამოშვების საშუალებებზე დაგანილი უნდა იქნეს გამოსაჩენ ადგილას, უნდა იყოს მკაფიო და არ იშლებოდეს.

5. დაუშვებელია დაკანონებული გამოშვების საშუალების დამოწმება, ან დამოწმების აღიარება, თუ მასზე არ არის დაგანილი ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი.

6. უკვე ხმარებაში არსებულ დაკანონებულ გამოშვების საშუალებებზე ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი დაიგანება მისი პირველადი ან პერიოდული დამოწმების დროს.

## **3. ფორმა, ზომები და ტექნიკური მოთხოვნები.**

1. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის ზომებმა შეუიარაღებელი თვალისათვის უნდა უზრუნველყონ მისი ელემენტების სიმკვეთრე და გარჩევა ნახაზზე დადგენილი პროპორციების შენარჩუნებით.

2. ტიპის დამტკიცების ეროვნულ ნიშანს უნდა ქონდეს გამოსახულებითი განსხვავება, რომელიც გამორიცხავს მის სრულ მსგავსებას ნიშნებთან, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

3. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი გამოიყენება ფერადი ვარიანტით.

4. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი კეთდება სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხით, ან სპეციალურად დამზადებული დამდის საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მკაფიო და ნათელ გამოსახულებას გამოშვების საშუალებების ვარგისიანობის მთელი ვადის განმავლობაში.

5. დიამეტრის ნომინალური ზომები საჭიროა შეირჩეს: 50; 60; 100 მმ პარამეტრული რიგის შესაბამისად.

## **4. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის აღწერა**

ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის (სიმაღლით 100 მმ) მონახაზი და წყობის წესი უნდა შეესაბამებოდეს ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის დანართი 2-ით დამტკიცებულ ნიმუშზე აღნიშნულს.

დანართი N2

**დაკანონებული გამოშვების საშუალებების ტიპის დამტკიცების**



